



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს
დებულება

თბილისი,
2023 წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს დებულება არეგულირებს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სადოქტორო პროგრამის საქმიანობას და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პირობებს, ასევე სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამა და მისი მიზნები

1. სადოქტორო პროგრამის მიზანია სამეცნიერო კვლევის გზით, ახალი ცოდნის შექმნა, აგრეთვე მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.
2. სადოქტორო პროგრამა თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და ინსტიტუტებთან სადოქტორო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი

1. სადოქტორო პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი.
2. სადოქტორო პროგრამის კოორდინატორის უფლებები და მოვალეობები:
 - ა) დაინტერესებული პირებისა და დოქტორანტების ინფორმირება საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
 - ბ) დოქტორანტისთვის კონსულტაციის გაწევა ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით;
 - გ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
 - დ) დოქტორანტთა პირადი საქმეების წარმოება;
 - ე) სადისერტაციო საბჭოს ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფა.

მუხლი 4. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება და ჩარიცხვის პირობები

1. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს სადოქტორო პროგრამაზე;
2. სადოქტორო პროგრამაზე მიღება რეგულირდება საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" მოთხოვნათა და წინამდებარე დებულების შესაბამისად;
3. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
4. სადოქტორო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩარიცხოს მობილობით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. აკრძალულია უნივერსიტეტში არსებულ ნებისმიერი ტიპის პროგრამაზე იმ პირის მიღება, რომელსაც სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო შეუწყდა სტუდენტის სტატუსი.
6. სადოქტორო პროგრამაზე მიღებას აცხადებს სადოქტორო პროგრამა და განცხადებას სადოქტორო პროგრამაზე მიღების შესახებ განათავსებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.freeuni.edu.ge).
7. სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) ავტობიოგრაფია (Curriculum Vitae);
 - ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) ელექტრონული ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ;
 - დ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი და დანართი;
 - ე) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა და/ან ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატს აქვს ინგლისურ ენაზე სწავლის და/ან მუშაობის გამოცდილება;
 - ვ) სამოტივაციო წერილი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას და უნდა მოიცავდეს საკვლევი თემატიკის აღწერას და მისი მნიშვნელობის დასაბუთებას.
8. თუ პირს არ აქვს ამ მუხლის მე-4 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი, მაშინ იგი აზარებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის ტესტს.
9. ჩარიცხვის მსურველი პირი გაივლის გასაუბრებას გამოცდის სახით სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სამეცნიერო მიმართულებების კომისიასთან.
10. სამეცნიერო მიმართულების კომისია განიხილავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შეაფასებს კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. დაინტერესებული პირის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:
 - ა) კანდიდატის აკადემიური და პროფესიული გამოცდილება;
 - ბ) უნარები:
 - ახალი ცოდნის შექმნის პოტენციალი;
 - ანალიტიკური აზროვნება;
 - კრიტიკული შეფასება.
11. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების სახით ჩატარებული გამოცდის საფუძველზე სამეცნიერო მიმართულების კომისია რექტორს წარუდგენს რეკომენდაციას საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ.
12. რექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

13. დოქტორანტს და უნივერსიტეტს შორის იდება ხელშეკრულება, სადაც განისაზღვრება მათი უფლება-მოვალეობები.

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამაზე სწავლა

სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პროცესი მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. დოქტორანტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი და/ან დოქტორის კვალიფიკაციის მქონე პირი.
2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.
3. სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტი ირჩევს ჩარიცხვის პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის დამთავრებამდე.
4. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი.
5. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევის მიზნით, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის არჩევას კურირებს სადოქტორო სკოლა და მისი არჩევა ხდება სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციით. კერძოდ:
 - ა. სადოქტორო პროგრამის პირველ სემესტრში დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წევრებს წარუდგენს სადისერტაციო თემას კვლევის გეგმისა და პროსპექტუსის სახით (სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის კვლევითი ნაწილის განრიგის მიხედვით);
 - ბ. დოქტორანტის წარდგენას/დაცვას ესწრება, როგორც მისი ხელმძღვანელი ასევე სადისერტაციო საბჭოს შერჩეული წევრები, მათი დარგობრივი/კვლევითი კომპეტენციის მიხედვით;
 - გ. დოქტორანტის თემის - კერძოდ თეორიული ჩარჩოს, მეთოდოლოგიური მიდგომის, მეთოდის, საკვლევი მიზნებისა და ამოცანების - განხილვის საფუძველზე, სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ხელმძღვანელისა და სადისერტაციო/მიმართულების კომისიის შესახებ.

მუხლი 7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსება შეიძლება ხორციელდებოდეს სამეცნიერო გრანტით, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით, საუნივერსიტეტო დაფინანსებით, თვითდაფინანსებით

და ნებისმიერი სხვა სახის დაფინანსებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2. საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამის საფასურის დაფარვის წესი და სქემა განისაზღვრება ინდივიდუალურად და აისახება დოქტორანტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

მუხლი 8. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა

დოქტორანტს შეიძლება სტატუსი შეუჩერდეს ან შეუწყდეს საქართველოს კანონმდებლობის, ამ დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 9. სადისერტაციო საბჭო

1. უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს ერთი ან რამდენიმე სადისერტაციო საბჭო.
2. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე აქტების, ამ დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
3. სადისერტაციო საბჭოს წევრებს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, 3 წლის ვადით.
4. საჭიროების შემთხვევაში რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოს ვადის გახანგრძლივება.
5. სადისერტაციო საბჭოს წევრი უნდა იყოს დოქტორის კვალიფიკაციის მქონე პირი.
6. უნივერსიტეტის მიერ სადისერტაციო საბჭოს წევრებისადმი ელექტრონული ფოსტით მიწოდებული ინფორმაცია ითვლება ჩაბარებულად.

მუხლი 10. სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები

1. სადისერტაციო საბჭო სამეცნიერო მიმართულების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე განსაზღვრავს სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტებს, სადისერტაციო კომისიას და დაცვის თარიღს.
2. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.
4. სადისერტაციო საბჭო ქმნის შესაბამისი მიმართულების სამეცნიერო მიმართულების კომისიას და ნიშნავს მის თავმჯდომარეს. სამეცნიერო მიმართულების კომისიის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია სამეცნიერო მიმართულების კომისიაში შეიტანოს ცვლილებები, დაამატოს წევრი/წევრები.
5. სადისერტაციო მიმართულების კომისიის წევრი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

6. საჭიროების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო განიხილავს და რეკომენდაციას აძლევს წიგნის/მონოგრაფიის/ლექსიკონის/სახელმძღვანელოს გამოცემას.

მუხლი 11. სამეცნიერო მიმართულების კომისიის ფუნქციები

1. სამეცნიერო მიმართულების კომისია ამზადებს კანდიდატის სადოქტორო პროგრამაზე მიღებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს:

ა) განიხილავს კანდიდატთა მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და ატარებს გამოცდას წერითი და გასაუბრების სახით;

ბ) დოქტორანტს ეხმარება სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევაში და ითანხმებს სადისერტაციო თემას;

გ) სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციას სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ;

დ) ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სამეცნიერო მიმართულების კომისია გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტი როლი ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას.

3. სამეცნიერო მიმართულების კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

4. სამეცნიერო მიმართულების კომისიის წევრი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

მუხლი 12. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს.

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებებს და სხდომის ოქმებს.

3. თუ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორანტის ხელმძღვანელი, რეცენზენტი ან სხვა მიზეზის გამო შეზღუდულია თავისი მოვალეობის შესრულებაში, მის მოვალეობას ასრულებს სადისერტაციო საბჭოს მიერ არჩეული ერთ-ერთ წევრი.

4. სადისერტაციო საბჭოს მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალოს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

მუხლი 13. სადისერტაციო საბჭოს მდივნის მოვალეობები

1. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოსა და მისი სამეცნიერო მიმართულების კომისიების ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებს, ადგენს და ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს. ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოსა და სამეცნიერო მიმართულების კომისიების არქივსა და საქმისწარმოებას.
2. საბჭოს მდივანი, სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ნაბეჭდი და ელექტრონული სახით გადასცემს დისერტაციის ერთ ეგზემპლარს. ანოტაცია ბიბლიოთეკას გადაეცემა ინგლისურ ენაზეც.
3. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომის მიწოდებას რეცენზენტებისთვის, მათი დანიშვნიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.
4. საბჭოს მდივანი სადისერტაციო საბჭოს, სხდომამდე ერთი კვირით ადრე, აცნობს დღის წესრიგს.
5. სადისერტაციო საბჭოს მდივანი დოქტორანტს, ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე, გადასცემს რეცენზენტების დასკვნებს და აცნობს დაცვის თარიღს.

მუხლი 14. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო კომისია იქმნება ყოველი კონკრეტული დისერტაციის საჯარო განხილვისას და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას.
2. კომისიის წევრი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.
3. სადისერტაციო კომისია შედგება არანაკლებ ხუთი წევრისაგან, რომელთაგან ორი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტია. რეცენზენტი არ უნდა იყოს დოქტორანტის რომელიმე ნაშრომის თანაავტორი, დოქტორანტზე ან მის ხელმძღვანელზე თანამდებობრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირი.
4. სადისერტაციო კომისიაში ასევე შედის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, სათათბირო ხმის უფლებით. დისერტაციის დაცვის კომისიის დარჩენილი 2 წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულების სათანადო აკადემიური ხარისხისა და გამოცდილების მქონე პირი.
5. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე, რომელიც არ არის დისერტანტის ხელმძღვანელი ან რეცენზენტი.
6. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის წარდგენის პროცედურები და მოთხოვნები

1. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტები და დაგროვებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი კრედიტები.
2. დოქტორანტი სამეცნიერო მიმართულების კომისიასთან წარადგენს სადისერტაციო ნაშრომს და სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ;
3. სამეცნიერო მიმართულების კომისია სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვის საფუძველზე აკეთებს დასკვნას;
4. სამეცნიერო მიმართულების კომისიის დასკვნის საფუძველზე, დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ნაშრომის ნაბეჭდ ოთხ ეგზემპლარს, ანოტაციას ინგლისურ ენაზე, მათ ელექტრონულ ვერსიას.
5. ნაშრომი, როგორც წესი, შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს იხილავს და წყვეტს სადისერტაციო საბჭო.
6. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, მას თან უნდა ერთოდეს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი მოკლე რეზიუმე ქართულ ენაზე (10-15 გვერდი, A4 ფორმატი).
7. ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა შეიცავდეს ანოტაციას ინგლისურ ენაზე, სადაც წარმოდგენილი იქნება სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული მეთოდები და წყაროები, დასაბუთებული იქნება კვლევის მეცნიერული შედეგების ან გამოყენებული მეთოდების სიახლე და აქტუალობა.
8. დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე უნდა გამოაქვეყნოს მის საკვლევ თემასთან დაკავშირებული სულ მცირე ერთი სამეცნიერო სტატია, საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (მათ შორის: Scimago, Elsevier, Science Direct, JSTOR) განთავსებულ ჟურნალში და/ან სადისერტაციო საბჭოს და/ან საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მიერ რეკომენდირებულ თემატურ სამეცნიერო პუბლიკაციაში. ასეთ შემთხვევაში:
 - ა. დოქტორანტი გადის კონსულტაციას ხელმძღვანელთან და სადისერტაციო კომისიასთან;
 - ბ. ხელმძღვანელისა და/ან სადისერტაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე დოქტორანტი მიმართავს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ერთ ან რამდენიმე წევრს, სადისერტაციო კვლევის თემიდან გამომდინარე;
 - გ. საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრი/წევრები აძლევენ რეკომენდაციას კონკრეტული პუბლიკაციის შესახებ (კრებული ან ჟურნალი) დოქტორანტის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე.
9. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად საკმარისია დისერტანტმა წარმოადგინოს ოფიციალური ნებართვა ჟურნალის რედაქციიდან სტატიის გამოქვეყნებაზე დასტურის შესახებ.

10. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 3 თვის განმავლობაში.

მუხლი 16. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

1. რეცენზენტები, ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, სადისერტაციო საბჭოს წარუდგენენ სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას.

2. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

3. რეცენზენტების არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა უფლება დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს არაუგვიანეს ექვსი თვისა.

4. რეცენზენტების სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დისერტაცია არ წარედგინება სადისერტაციო კომისიას და დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

5. თუ რეცენზენტების შეფასება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ან ერთ-ერთის შეფასება არის არადამაკმაყოფილებელი ან სრულიად არადამაკმაყოფილებელი, საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო და ნიშნავს მესამე რეცენზენტს.

მუხლი 17. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო.

2. დაცვის მსვლელობა ფიქსირდება ვიდეოჩანაწერით. დაცვისას მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო დაცვის კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

3. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისგან:

ა. დოქტორანტის მოხსენება;

ბ. რეცენზიების წარდგენა;

გ. სამეცნიერო დისკუსია;

დ. ფარული კენჭისყრა;

ე. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

მუხლი 18. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება

1. სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ, სადისერტაციო კომისია ნაშრომს აფასებს ფარული კენჭისყრით.

2. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

3. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას აცნობს საჯაროდ.

4. სადისერტაციო კომისიის მიერ დოქტორანტის დადებითი შეფასების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ანიჭებს პროგრამით გათვალისწინებული დოქტორის (Ph.D) აკადემიურ ხარისხს.

5. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.

6. დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ სადისერტაციო საბჭოს წარედგინება შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.



7. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დისერტაცია არ ითვლება დაცულად და დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას და მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 19. დოქტორის მინიჭებული კვალიფიკაციის გაუქმება

აკადემიური და კვლევის ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს წინაშე შეიძლება დაისვას დოქტორის მინიჭებული კვალიფიკაციის გაუქმების საკითხი.